

## დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

## სარჩევი:

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

|                                                          |   |
|----------------------------------------------------------|---|
| სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება .....       | 3 |
| ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... | 4 |
| კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....     | 5 |

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

|                                                    |    |
|----------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია.....                          | 6  |
| 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....          | 7  |
| 3. შემოსავალი.....                                 | 12 |
| 4. მოგების გადასახადით დაბეგვრა.....               | 13 |
| 5. ძირითადი საშუალებები.....                       | 13 |
| 6. ფული და ფულის ექვივალენტი.....                  | 14 |
| 7. სესხები.....                                    | 14 |
| 8. ფინანსური ინსტრუმენტები-რისკების მართვა.....    | 15 |
| 9. ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან.....        | 16 |
| 10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები..... | 17 |

## დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

| მოგებისა და ზარალის ანგარიშგება                                                  | Note | 31-12-23         | 31-12-22         |
|----------------------------------------------------------------------------------|------|------------------|------------------|
| ამონაგები მომსახურების გაწევიდან                                                 | 3    | 21,161,229       | 18,716,242       |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                        |      | (15,587,094)     | (14,580,538)     |
| <b>საერთო მოგება</b>                                                             |      | <b>5,574,135</b> | <b>4,135,705</b> |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                                       | 3    | -                | -                |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                         |      | (3,157,971)      | (2,475,070)      |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                                       |      | (61,334)         | (70,967)         |
| საპროცენტო შემოსავალი                                                            | 7    | 1,993            | 1,994            |
| საპროცენტო ხარჯი                                                                 | 7    | (162,034)        | (142,997)        |
| იჯარის ხარჯი                                                                     |      | (462,541)        | (509,541)        |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                         |      | (975,445)        | (313,018)        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                         |      | <b>757,029</b>   | <b>626,104</b>   |
| წმინდა დანაკარგი უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან  | 2    | (424,805)        | (611,342)        |
| წმინდა შემოსულობა უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 2    | 139,520          | 240,424          |
| მიღებული დივიდენდები                                                             |      |                  |                  |
| <b>მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან</b>  |      | <b>471,744</b>   | <b>255,186</b>   |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                        | 4    | (1,399)          | (17,972)         |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი</b>                                    |      | <b>470,345</b>   | <b>237,213</b>   |
| სხვა სრული შემოსავალი:                                                           |      |                  |                  |
| შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით           |      | -                | -                |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)</b>                                       |      | <b>470,345</b>   | <b>237,213</b>   |


დირექტორი



გიორგი კიკნაძე

მთავარი ბუღალტერი

ლია კორსანტია



## დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                          | 31-12-23         | 31-12-22         |
|-------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                             |                  |                  |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები                  | 117,783          | 211,718          |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები                     | 2,152,660        | 1,404,816        |
| მარაგები                                                    | -                | -                |
| მისაღები დივიდენდები                                        | -                | -                |
| მისაღები პროცენტები                                         | 5,964            | 3,987            |
| ძირითადი საშუალებები                                        | 439,185          | 442,650          |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 970              | 3,901            |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში                            | -                | -                |
|                                                             | <b>2,716,562</b> | <b>2,067,073</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                        |                  |                  |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები                  | 4,090            | 4,565            |
| საგადასახადო ვალდებულებები                                  | 240,969          | 205,817          |
| მოკლევადიანი სესხები                                        | 1,334,942        | 1,081,452        |
| გრძელვადიანი სესხები                                        | 143,434          | 246,140          |
| ვალდებულებები მეკავშირე საწარმოში                           | -                | -                |
| გადასახდელი დივიდენდები                                     | -                | -                |
| გადასახდელი პროცენტი                                        | -                | -                |
|                                                             | <b>1,723,435</b> | <b>1,537,975</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                                     |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                                          | 100              | 100              |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                   | 993,028          | 528,998          |
|                                                             | <b>993,128</b>   | <b>529,098</b>   |
| <b>მთლიანი კაპიტალი &amp; ვალდებულებები</b>                 | <b>2,716,562</b> | <b>2,067,073</b> |

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

გიორგი კიკნაძე

ლია კორსანტია

## დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

### საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

|                           | საწესდებო<br>კაპიტალი | აკუმულირებული<br>მოგება | გაუნაწილებელი<br>მოგება | კაპიტალის<br>გაზრდა | გაცემული<br>დივიდენდი | კაპიტალის<br>შემცირება | მთლიანი<br>კაპიტალი |
|---------------------------|-----------------------|-------------------------|-------------------------|---------------------|-----------------------|------------------------|---------------------|
|                           | 100                   | 457,539                 | 237,213                 | -                   | (165,754)             | -                      | 529,098             |
| 2022 წლის 31<br>დეკემბერი | 100                   | 457,539                 | 237,213                 | -                   | (165,754)             | -                      | 529,098             |
|                           | 100                   | 528,998                 | 470,346                 | -                   | (6,316)               | -                      | 993,128             |
| 2023 წლის 31<br>დეკემბერი | 100                   | 528,998                 | 470,346                 | -                   | (6,316)               | -                      | 993,128             |


დირექტორი



გიორგი კიკნაძე

მთავარი ბუღალტერი

ლია კორსანტია



## **დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### **1. ზოგადი ინფორმაცია**

შპს დასაქმების სააგენტო ეიჩარი (შემდგომში კომპანია) 2008 წლის 2 მაისიდან წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. კომპანია თავის ძირითად საქმიანობას ეწევა სამი მიმართულებით:

**ვებ სერვისები** - რაც გულისხმობს კომპანიის სხვადასხვა ვებ-გვერდებზე ვაკანსიების, განცხადებების, ტენდერების, ტრენინგების განთავსებას და ადმინისტრირებას.

**რეკრუტინგული მომსახურება** - გულისხმობს კლიენტის საკადრო საჭიროებების განსაზღვრას, მათთვის კადრის მოძიების ინდივიდუალური გეგმის შედგენას, კანდიდატების მოძიებას სხვადასხვა წყაროებიდან, გასაუბრების ჩატარებას და საბოლოო შერჩეული კანდიდატების მიწოდებას კლიენტისთვის, საშტატო ერთეულის დაკომპლექტების მიზნით.

**პერსონალის აუტოსორსინგი** - პერსონალის მიწოდება, კერძოდ კლიენტის სასარგებლოდ შესაბამისი კადრების მოძიება, კადრების თანამშრომლებად გაფორმება და კლიენტის მიზნებისთვის და საჭიროებებისთვის მათი მიწოდება, რისთვისაც სააგენტო ახდენს, მათ შორის: შრომითი და მომსახურების მართვას და ადმინისტრირებას.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, 0186, მიხეილ შავიშვილის ქუჩა 25, ხოლო ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, 0186, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71, მე-4 სართული, ოფისი 24.

კომპანიის 50-50% იანი წილის მფლობელები არიან ფიზიკური პირები: ნოდარ შურღაია (01024031151) და ლევან გუგუნავა (01024031151).

კომპანია 2016 წლის 24 ნოემბრიდან არის შპს ეიჩარის 100 %იანი წილის მფლობელი. კონსოლიდირებული ანგარიშგება წარმოდგენილია შპს ეიჩარის ფინანსურ მაჩვენებლებთან ერთად.

## დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### 2. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკა

ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ დამტკიცებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ის) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

## დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენლია კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან“ წმინდა სიდიდით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

|                                  | აშშ დოლარი | ევრო   | რუსული რუბლი |
|----------------------------------|------------|--------|--------------|
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,6894     | 2,9753 | 0,029916     |
| კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,7020     | 2,8844 | 0,036770     |

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

## დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იხეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ

## დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს 3 თვემდე დაფარვის ვადით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს შემცირებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

## დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

### სასარგებლო მომსახურების ვადა

|                         |    |
|-------------------------|----|
| კომპიუტერული ტექნიკა    | 10 |
| ოფისის აღჭურვილობა      | 10 |
| არამატერიალური აქტივები | 15 |
| სხვა                    | 15 |

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც

## დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების

სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ჯგუფი აფასებს სავაჭრო მოთხოვნებს გაუფასურებაზე. მთავარი ფაქტორი, რომლის საფუძველზეც ჯგუფი ადგენს ფინანსური აქტივის გაუფასურებას, არის ვადაგადაცილება და დებიტორების საკრედიტო რეიტინგის გაუარესება.

გაუფასურების ოდენობა გამოითვლება რისკის მატარებელი აქტივების ანალიზით და ასახავს თანხის იმ მოცულობას, რაც მენეჯმენტის აზრით საკმარისია შესაბამისი დანაკარგების დასაფარად. ჯგუფი ანარიცხებს ქმნის რისკის მატარებელი აქტივების შეფასების საფუძველზე. იმის მიხედვით, არსებითია თუ არა, აღნიშნული ფინანსური აქტივები ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

## 3. შემოსავალი

შემოსავლები 2023 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                     |             |
|-------------------------------------|-------------|
| შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან | 21,161,229; |
| სხვა შემოსავლები                    | 0.          |

## დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### 4. მოგების გადასახადის სარგებელი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს მიღებული მოგების რეინვესტირებას არსებულ ან ახალ საქმიანობაში. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. ტექნიკურად დასაბეგრი ობიექტის დაბეგვრა მოხდება 15%/85% განაკვეთით მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- ხვავობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები .

### 5. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები 2022 და 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად.

|            | შენიშვნა | სატრანსპორტო საშუალებები | კომპიუტერული ტექნიკა და ინვენტარი | არამატერიალური აქტივები | სხვა | სულ აქტივები |
|------------|----------|--------------------------|-----------------------------------|-------------------------|------|--------------|
| 31.12.2022 | -        | -                        | 503,833                           | 213,979                 | -    | 717,813      |
| შემოსვლა   | -        | -                        | 44,198                            | 13 671                  | -    | 57,869       |

## დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

|                                                 |   |   |           |          |   |           |
|-------------------------------------------------|---|---|-----------|----------|---|-----------|
| გასვლა                                          | - | - | -         | -        | - | -         |
| აკუმულირებულ<br>ი ცვეთა                         | - | - | (237,888) | (37,274) | - | (275,162) |
| მიმდინარე<br>პერიოდის ცვეთა                     | - | - | (55,838)  | (5,497)  | - | (61,334)  |
| 31.12.2023<br>წმინდა<br>საბალანსო<br>ღირებულება | - | - | 254,306   | 184,879  | - | 439,185   |

## 6. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                  | 2023           | 2022           |
|----------------------------------|----------------|----------------|
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში: | 38 064         | 47 376         |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში:  | 79 719         | 164 343        |
| <b>სულ:</b>                      | <b>117 783</b> | <b>211 718</b> |

## 7. სესხები

სესხები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კონტრაგენტი დაფარვის თარიღი ვალუტა პროცენტი 31.12.2023

|                 |            |            |      |         |
|-----------------|------------|------------|------|---------|
| პროკრედიტ ბანკი | 22.04.2025 | აშშ დოლარი | 5%   | 143 434 |
| პროკრედიტ ბანკი | 16.04.2024 | აშშ დოლარი | 6.5% | 110 942 |
| პროკრედიტ ბანკი | 16.04.2024 | ლარი       | 14%  | 74 000  |
| პროკრედიტ ბანკი | 16.04.2024 | ლარი       | 14%  | 250 000 |
| პროკრედიტ ბანკი | 16.04.2024 | ლარი       | 14%  | 900 000 |

**სულ:** **1 478 376**

## დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება დაფარვის მოკლე ვადის გამო არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისგან.

### 8. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს.

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც შესაძლებელია წარმოიშვას რისკები არის შემდეგი:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
- სესხები
- სხვა ვალდებულებები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                             | 31.12.2022       | 31.12.2022       |
|---------------------------------------------|------------------|------------------|
| ფული და ფულთან გათნაბრებული ინსტრუმენტები:  | 117 784          | 211 718          |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები:    | 2 153 629        | 1 408 717        |
| მისაღები პროცენტები:                        | 5 964            | 3 987            |
| <b>სულ ფინანსური აქტივები :</b>             | <b>2 277 377</b> | <b>1 624 422</b> |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები: | 4 090            | 4 565            |
| სესხები:                                    | 1 478 376        | 1 327 592        |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები:</b>         | <b>1 482 466</b> | <b>1 332 157</b> |

## დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ჯგუფის არ გააჩნია რისკის მართვის წერილობითი პოლიტიკა. თუმცა, უმაღლესი მენეჯმენტი ახორციელებს რისკების კონტროლს და მიზნად ისახავს ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც შეამცირებს კომპანიის რისკებს და დაიცავს ჯგუფის კონკურენტუნარიანობას და მოქნილობას რისკების უარყოფითი ეფექტისგან.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ჯგუფი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც ჯგუფი ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დებიტორებისთვის ჯგუფი ქმნის სპეციფიკურ რეზერვს.

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი ნაკადების მოძრაობა.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამაღროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია მოზიდული და საკუთარი

კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

## 9. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავენ მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან არსებითი ღირებულების ოპერაციები არ გააჩნია.

## დასაქმების სააგენტო ეიჩარ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2023 წლისთვის შეადგენს 738 947 ლარს.

### 10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც არსებით გავლენას მოახდენს კომპანიის საქმიანობაზე და მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

დირექტორი



გიორგი კიკნაძე

მთავარი ბუღალტერი

ლია კორსანტია

